ხელშეკრულება №54

ქ. ოზურგეთი 30 სექტემბერი 2019 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთი მხრივ,შპს ,,სატისი”-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ თოიძის სახით (შემდგომში-შემსყიდველი),
მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზურგეთი;
საიდენტიფიკაციო კოდი: №437066201
სს ,,ლიბერთი ბანკი”
კოდი: LBRTGE22
საბანკო რეკვიზიტები:GE15LB0113190212510000
ელ.ფოსტა:ltd.satisi@gmail.com

და მეორეს მხრივ, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (შემდგომში ,,შემსრულებელი“), რომელსაც წარმოადგენს რექტორი სოფიო მაჭარაშვილი

მისამართი: თბილისი, წერონისის ქ №208
საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173
ბანკი: ს.ს. საქართველოს ბანკი
კოდი :BAGAGE22
საბანკო რეკვიზიტები: GE95BG0000000160791829
ელ.ფოსტა:

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული,როგორც,,მხარე”, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც ,,მხარეები”, საქართველოს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს” ქვეპუნქტის შესაბამისად,გამარტივებული შესყიდვის შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აკადემიასა და დამკვეთს შორის სასწავლო ურთიერთობების მოწესრიგება, **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული პროგრამით** სწავლის პირობებისა და სწავლის პროცესში მხარეთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრა.

1.2. აკადემია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს ,,სატისი“-ს გამოგზავნილი მსმენელი მოქალაქე ლევან ჭეიშვილი პ/ნ: 33001004562 განათლების მიღებით **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებულ პროგრამაზე,** რომლის მოცულობა შეადგენს 130 საათს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ და პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში გასცეს სერთიფიკატი 3 წლიანი მოქმედების ვადით.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: კლასიფიკატორის კოდი:**CPV80500000-** სატრეინინგო მომსახურეობა.

დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული სასერთიფიკატო პროგრამა (ტრეინინგ-კურსი)შ	მსმენელი	1	1100,00	1100,00

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1100,00(ათას ასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებსა და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები , ადგილი და პირობები.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 ნოემბერის ჩათვლით.
5.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და გრძელდება შესაბამისი პროგრამის ხანგძლივობის ვადით, რომელიც შეადგენს არაუმეტეს 2,5 თვეს.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1 მიმწოდებელთან ანგარშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტით.
6.2 ანგარისწორება განხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.
6.3 ანგარიშსწორებამხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით,წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
6.4 შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურება განხორციელდება, ხელშეკრულების შესაბამის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან 10(ათი) სამუშაო დროს ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობა

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში , დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

9.1 ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება;
9.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც. ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი;
9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ თავისუფლება მხარეებს ვალდებულებების შესრულეისგან;
9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედევად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები დაირღვა 15 დღეზე მეტი დროით.
9.5 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ასევე მხარეთა შეთანხმებით.
9.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაჯარიმდება ხელშეკრულების მთილიანი ღირებულების 10% ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაო კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორსმაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;
12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავნე სასამრთლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
14.2 ხელშეკრულება შედგენი;ლია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან; ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე;
14.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.4 შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერი პირ(ებ)ი ადასტურებენ რომ მიმწოდებელთან არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და გრძელდება შესაბამისი პროგრამის ხანგძლივობის ვადით, რომელიც შეადგენს არაუმეტეს 2,5 თვეს.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2019 წლის 30 სექტემბერი

ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შპს,,სატისი“ საჭიროებისთვის - CPV80500000- სატრეინინგო მომსახურეობა.- შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს,,სატისი“-ს დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი: ---------- /ნოდარ თოიძე/